სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. თბილისი

28. ოქტომბერი 2013 წელი

შესყიდვის საგანი: საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) **გიორგი ხიზანიშვილი** -კომისიის თავმჯდომარე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი;

ბ) **ვახტანგ კარგარეთელი** - კომისიის წევრი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე;

გ) **როსტომ ლაზარია** - კომისიის წევრი, ბიუროს უფროსის მოადგილე, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი;

დ) **კობა ახვლედიანი** - კომისიის წევრი, დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი;

ე) **ბაკურ ბერეკაშვილი** - კომისიის წევრი, დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების უფროსი;

ვ) **ბადრი ლეფსაია**- კომისიის წევრი, კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტის) უფროსი;

ზ) **ზაზა ყიფიანი** -კომისიის წევრი, კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტის),სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს უფროსი.

თ) **გიორგი მუმლაძე** -კომისიის წევრი, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

ი) **ტარიელ ზამბახიძე** - კომისიის წევრი, ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურიდიული სამმართველოს უფროსი;

კ) **ნოდარ ფოცხვერაშვილი** - კომისიის წევრი, ეკონომიკური დეპარტამენტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს უფროსი.

საკონკურსო კომისიის აპარატი:

ა) **ნატალია მეტრეველი** - აპარატის წევრი, ეკონომიკური დეპარტამენტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ბ) **ნინო განჯელაშვილი** - აპარატის წევრი, ეკონომიკური დეპარტამენტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის მიზნით, გამოცხადებულ N993 კონკურსზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

აპარატის წევრის ნინო განჯელაშვილის ინფორმაცია მასზედ, რომ ბიუროს მიერ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის შენობის არქიტექტურული პროექტის (მათ შორის ექსტერიერის, ინტერიერის და მიმდებარე

ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N993 კონკურსზე საკონკურსო საფასური გადაიხადა და დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ექვსმა პრეტენდენტმა:

N	პრეტენდენის დასახელება	საკონკურსო წინადადების ღირებულება (ლარი დ.ღ.გ ჩათვლით)
1	შ.პ.ს. "არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები"	80000.00
2	შ.პ.ს. "დიზაინ კომპლექსი"	85000.00
3	ი.მ გიორგი კვიტაშვილი	85800.00
4	შ.პ.ს. "ლაინ ჯორჯია"	87000.00
5	შ.პ.ს. "ოპტიმუსი"	89000.00
6	შ.პ.ს. "არქ მასტერ"	91800.00

განიხილეს:

კომისიამ რიგითობით განიხილა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები. ყოველი კონკრეტული წინადადების საპროექტო ნაწილის პრეზენტაციამდე რომელსაც ახდენდა უშუალოდ ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები, განხილული იქნა წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან.

ყველა პრეტენდენტის წინადადებების დეტალური განხილვისას კომისიის წევრების მიერ დაისვა შეკითხვები როგორც უშუალოდ პროექტთან, ასევე წინადადების შეფასების იმ კრიტერიუმთან დაკავშირებით რაც განსაზღვრული იყო საკონკურსო დოკუმენტაციით, კერძოდ, გამოცდილების/განხორციელებული პროექტების შესახებ. ასევე: ყოველი კონკრეტული პროექტით განსაზღვრული შენობის სავარაუდო ფართობების შესახებ, გათვალისწინებული იყო თუ არა წითელი ხაზები შენობების დაგეგმარებისას და ასევე პროექტის თანახმად შესაძლებელი იყო თუ არა მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი სამშენებლო სამუშაოს განხორციელება, რომლის ღირებულებაც არ უნდა აღემატებოდეს 5.000,000 ლარს და სხვა.

ი.მ გიორგი კვიტაშვილი-ს მიერ არ იქნა სრულად წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილების შესახებ, კერძოდ, საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო მინიმუმ 3 განხორციელებული პროექტის შესახებ ინფორმაცია, ხოლო, მიუხედავად იმისა, რომ პრეტენდენტის განცხადებით განხორციელებული აქვს ერთზე მეტი პროექტი, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ქონდა მხოლოდ 1 განხორციელებული პროექტი, აღნიშნულის გათვალისწინებით საკონკურსო კომისიამ პრეტენდენტი შეაფასა 0 ქულით.

ასევე, აღსანიშნავია რომ შ.პ.ს. „ოპტიმუს"-ის და შ.პ.ს. „არქ მასტერი"-ს ერთი ძირითადი საკონკურსო წინადადების/პროექტის გარდა ჰქონდათ წარმოდგენილი ალტერნატიული პროექტები. საკონკურსო კომისიის ხმების აბსოლიტური უმრავლესობით გადაწყდა, წარმოდგენილი ორ-ორი პროექტიდან შეერჩიათ თითო უკეთესი პროექტი რომელიც დაიშვებოდა შეფასებაზე.

საკონკურსო წინადადებების დეტალური განხილვის შემდგომ კომისიამ მოახდინა წინადადებების შეფასება დოკუმენტაციაში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

1. არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი - 0,5.
2. გამოცდილება - 0,25.
3. საკონკურსო წინადადების ფასი 0,25.

#	დასახელება	კრიტერიუმი	კოეფიციენტი	საკონკურსო კომისის წევრების მიერ მინიჭებული ქულების ჯამი	საკონკურსო კომისის წევრების მიერ მინიჭებული ქულების ჯამის ნამრავლი	საბოლოო ქულა
1	შპს ოპტიმუსი	არქიტექტურული კონცეფცია	0.5	68	34	57
		გამოცდილება	0.25	48	12	
		საკონკურსო წინანადების ფასი	0.25	44	11	
2	შპს დიზაინ კომპლექსი	არქიტექტურული კონცეფცია	0.5	48	24	55.5
		გამოცდილება	0.25	65	16.25	
		საკონკურსო წინანადების ფასი	0.25	61	15.25	
3	შპს არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები	არქიტექტურული კონცეფცია	0.5	85	42.5	91.25
		გამოცდილება	0.25	98	24.5	
		საკონკურსო წინანადების ფასი	0.25	97	24.25	
4	შპს ,, ლაინ ჯორჯია"	არქიტექტურული კონცეფცია	0.5	30	15	33.25
		გამოცდილება	0.25	32	8	
		საკონკურსო წინანადების ფასი	0.25	41	10.25	
5	შპს არქ მასტერ	არქიტექტურული კონცეფცია	0.5	59	29.5	45.75
		გამოცდილება	0.25	39	9.75	
		საკონკურსო წინანადების ფასი	0.25	26	6.5	
6	ი. მ გიორგი კვიტაიშვილი	არქიტექტურული კონცეფცია	0.5	0	0	0
		გამოცდილება	0.25	0	0	
		საკონკურსო წინანადების ფასი	0.25	0	0	

კომისიის შეფასების საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს "არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები".

დაადგინეს:

1. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს უზრუნველყოს კონკურსში გამარჯვებული შ.პ.ს „არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები“-სათვის კონკურსის შედეგების შეტყობინება და ხელშეკრულების გაფორმება.

2. კომისიამ უზრუნველყოს საკონკურსო წინადადებების, ოქმებისა და სათანადო დოკუმენტაციის მიწოდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის.

გიორგი ხიზანიშვილი	კომისიის თავმჯდომარე
ვახტანგ კარგარეთელი	კომისიის წევრი
როსტომ ლაზარია	კომისიის წევრი
კობა ახვლედიანი	კომისიის წევრი
ბაკურ ბერეკაშვილი	კომისიის წევრი
ბადრი ლეფსაია	კომისიის წევრი
ზაზა ყიფიანი	კომისიის წევრი
გიორგი მუმლაძე	კომისიის წევრი
ტარიელ ზამბახიძე	კომისიის წევრი
ნოდარ ფოცხვერაშვილი	კომისიის წევრი
ნატალია მეტრეველი	აპარატის წევრი
ნინო განჯელაშვილი	აპარატის წევრი